დანართი

**2016 წლის 20 იანვრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი**

1. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2016 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 15 იანვრის N1 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის უფროსი)

# ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
# ბრძანება

KA990182604071016

**№ 2-ს** **20 / იანვარი / 2016 წ.**

## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N7 დადგენილების 47-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე ვბრძანებ:

1. 2016 წლის 20 იანვარს 13.00 სთ-ზე მოწვეულ იქნეს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.
2. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი თანახმად დანართისა.
3. ბრძანება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე — ედიშერი ჯობავა